იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

# სილაბუსი

სასწავლო კურსის სახელწოდება: გერმანული მედიის ენა

სასწავლო კურსის კოდი: **H.1.G.07**

ლექტორი: მასწ. ცისანა მოდებაძე, ტელ:**3-45-65; 899 79 80 63**
**E-mail: tsiso_55@yahoo.de**

კონსულტაციის დღე: ოთხშაბათი **12 -14**სთ,
უცხო ენებისა და ლიტერატურის კათედრა, **I** კორპუსი, **II** სართული

კრედიტების რაოდენობა: **(ECTS)** ლექტორი: მასწ. ცისანა მოდებაძე, ტელ:

კრედიტების რაოდენობა: **– 5** კრედიტი, **125** საათი.

აქედან საკონტაქტო- **45** საათი (პრაქტიკული),

**80** დამოუკიდებელი საათი

სასწავლო კურსის სტატუსი: სავალდებულო, კურსი გათვალისწინებულია ჰუმანიტარული ფაკულტეტის, გერმანული ენა და ლიტერატურის დამატებითი სპეციალობის **VII** სემესტრის სტუდენტებისათვის.

კურსის მიზანი და ამოცანები:

კურსი უზრუნველყოფს პრესის ტერმინოლოგიის შესწავლას. სტუდენტები შეისწავლიან აგრეთვე სასამართლოს, პოლიციის, ფინანსური და პოლიტიკური სტრუქტურების ტერმინოლოგიას. მათ ევალებათ საგაზეთო სტატიების

გერმანულიდან ქართულად და ქართულიდან გერმანულად თარგმნა. სტუდენტებს მიეცემათ აგრეთვე ინტერნეტში ინფორმაციის მოძიების დავალებები.

სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობები: დადებითი შეფასება ანალიზურ კითხვაში

სასწავლო კურსის სწავლების შედეგები:

| | ზოგადი | დარგობრივი |
|---|---|---|
| ცოდნა და გაცნობიერება | პრესისათვის დამახასიათებელი ტერმინოლოგიისა და ლექსიკური ერთეულების შესწავლა. | გერმანულენოვანი პრესისათვის დამახასიათებელი ტერმინოლოგიისა და ლექსიკური ერთეულების ცოდნა და გაცნობიერება. |
| ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი | კურსი გათვალისწინებულია ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. კურსის შესწავლა სტუდენტებს განუვითარებს ზოგადად საგაზეთო სტატიების თუ სხვა მასობრივი მედიის საშუალებების ენის გაგებას და ინფორმაციის გადმოცემის უნარ-ჩვევებს. | სტუდენტებს. განუვითარებს გერმანულენოვანი საგაზეთო სტატიების თუ სხვა მასობრივი მედიის საშუალებების ენის გაგებას და ინფორმაციის გადმოცემის უნარ-ჩვევებს. |
| კომუნიკაციის უნარი | კურსი ხელს შეუწყობს ახალგაზრდის ინტელექტის განვითარებას და დახვეწას. | კურსი ხელს შეუწყობს მედიასთან დაკავშირებული გერმანული სიტყვათმარაგის დაგროვებას. |
| დასკვნის უნარი | კურსი ხელს უწყობს გერმანულენოვანი პრესის დამოუკიდებელი კითხვისა და დასკვნის უნარის გამოტანის გამომუშავებას. | სტუდენტი გერმანულენოვანი პრესის კითხვით დამოუკიდებლად ივითარებს გერმანული ენის ფლობის დონეს და დასკვნების |

| | | |
|---|---|---|
| | | გამოტანის უნარს. |

სწავლებისა და სწავლის მეთოდები:პრაქტიკული კურსი, წერითი გამოკითხვა, სემინარი, პრეზენტაცია

სტუდენტთა ცოდნის შეფასება: მოხდება 100 ქულით, რასაც განსაზღვრავს შუალედური შეფასება (60%) და გამოცდა(40%).

გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს იმ შემთხვევაში, თუ შუალედური შეფასება შეადგენს მინიმუმ 11 ქულას.

სტუდენტს კრედიტი ენიჭება მინიმუმ 51 ქულის დაგროვების შემთხვევაში.
შუალედური შეფასება: 60 ქ.

ორი შუალედური წერა: 30 ქ. (თითოეული 15ქ.) (VIII და XIII კვირა)
(თემატიკაზე სტუდენტი წინასწარ უნდა იქნას ინფორმირებული)
ოთხი ზეპირი გამოკითხვა 20ქ. (თითოეული 5ქ.) (VI, IX, XII, XIV კვირა)
(სტუდენტი თარიღზე წინასწარ იქნება ინფორმირებული.)
ზეპირი პრეზენტაცია 10ქ.; (XV კვირა)
(თემატიკას ირჩევს სტუდენტი.)
ქულები ნაწილდება შემდეგნაირად:

1. შინაარსის ლოგიკურობა: მაქსიმალური შეფასება: 3ქ.
2. თემის გასაგებად წარმოდგენა: მაქსიმალური შეფასება: 3 ქ.
3. დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა: მაქსიმალური შეფასება 2 ქ.
4. ვიზუალური საშუალებების გამოყენება: მაქსიმალური შეფასება 2 ქ.

გამოცდა: 40ქ.
საბოლოო შეფასება: 100 ქ.

ძირითადი ლიტერატურა:

1. გერმანულენოვანი გაზეთები და ჟურნალები;
2. ინტერნეტი